

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
2018-2024 წლების
კვლევითი სტრატეგია



შემუშავებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

რექტორის მოადგილის, სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის და განვითარების სამსახურების
მიერ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებთან, ფაკულტეტებთან/სკოლებთან და სტრატეგიის დაგეგმვის
სამუშაო ჯგუფთან თანამშრომლობით

2018 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი-----	3
მეთოდოლოგია -----	3
კვლევების მოკლე ისტორია და არსებული მდგომარეობის აღწერა-----	4
ძირითადი გამოწვევები -----	7
სტრატეგიული მიზნები და ამოცანები -----	8
სტრატეგიის მონიტორინგის და შეფასების პროცედურა -----	14

შესავალი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგია ეფუძნება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონს, უნივერსიტეტის წესდებს, ნორმატიულ და ადმინისტრაციულ აქტებს, უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციებს, წესებს და ხელს უწყობს უნივერსიტეტის განვითარებას სამი ძირითადი მიმართულებით:

- ა) წარმატებული, მაღალი იმპაქტის მქონე კვლევების ხელშეწყობა;*
- ბ) რეგიონისა და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი კვლევების ხელშეწყობა;*
- გ) საზოგადოების განვითარების მიმართ უნივერსიტეტის პასუხისმგებლობით, მათ შორის სოციალური პასუხისმგებლობით ინსპირირებული კვლევების ხელშეწყობა.*

კვლევითი სტრატეგიის საშუალებით უნივერსიტეტი აყალიბებს სტრატეგიულ ხედვას, თუ როგორ განვითარდეს ერთ-ერთ წამყვან კვლევით დაწესებულებად საქართველოში და დანერგოს კვლევითი ინოვაციები, რაც საფუძვლად დაედება უნივერსიტეტში

- საერთაშორისო დონის კვლევების განხორციელებისათვის საჭირო გარემოს შექმნას და შენარჩუნებას, უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო საზოგადოების აქტიურ მხარდაჭერას და მასში სტუდენტების აქტიურ ჩართვას;*
- შესაბამისი კვლევითი თანამშრომლობის მხარდაჭერას სხვა უნივერსიტეტებთან, ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ბიზნესთან;*
- კვლევის განვითარებას საქართველოში ნაკლებად განვითარებული მიმართულებებით;*
- კვლევების პოპულარიზაციას.*

მეთოდოლოგია

უნივერსიტეტის კვლევითი სტრატეგია მომზადდა რექტორის მოადგილის, სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის და განვითარების სამსახურების მიერ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებთან, ფაკულტეტებთან/სკოლებთან და სტრატეგიის დაგეგმვის სამუშაო ჯგუფთან თანამშრომლობით. კვლევის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების პროცესში ასევე გამოყენებული იყო უნივერსიტეტის საქმიანობის შეფასების მიზნით ჩატარებული კვლევები. ჯგუფის მუშაობის შედეგად მოხდა კვლევითი პოტენციალის, გამოწვევების და ამოცანების იდენტიფიცირება და შესაბამისი აქტივობების გაწერა სამოქმედო გეგმაში.

უნივერსიტეტის კვლევითი სტრატეგია ეფუძნება უნივერსიტეტის სტრატეგიას 2018 – 2024 წლებისათვის, იზიარებს მასში დეკლარირებულ ღირებულებებს, მისიასა და ხედვას, უნივერსიტეტის პრიორიტეტებს და უმნიშვნელოვანეს მიზნებს 2018-2024 წლების განმავლობაში.

კვლევების მოკლე ისტორია და არსებული მდგომარეობის აღწერა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, როგორც წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო-კვლევით დაწესებულებაში, ამჟამად ხორციელდება სხვადასხვა დონორის მიერ დაფინანსებული 80-ზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 300-ზე მეტ საერთაშორისო თუ ადგილობრივ პროექტებში იყო ჩართული როგორც გრანტის მფლობელი, ასევე პარტნიორი. უნივერსიტეტი ცდილობს უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლების მიწოდება და კვლევების ხელშეწყობა ინოვაციური ინიციატივებისა და პოლიტიკის მეშვეობით.

უნივერსიტეტის ბაზაზე 30-ზე მეტი კვლევითი ცენტრი და ინსტიტუტი ახორციელებს კვლევით საქმიანობას.

- სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები, რომლებიც დაარსებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ და არის უნივერსიტეტის ფაკულტეტების შემადგენლობაში. ისინი ფინანსდება უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან. უნივერსიტეტის ბიუჯეტში ეკონომიური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში კვლევითი საქმიანობისთვის გამოყოფილია დაახლოებით თანხის 3-5%. დაფინანსებული პროექტების რაოდენობა ცვალებადია და დამოკიდებულია წარმოდგენილი პროექტების ხარისხსა და მნიშვნელობაზე. მათი შეფასება ხორციელდება სამეცნიერო და აკადემიური საბჭოების მიერ.
- სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები, რომელთა ინტეგრირება მოხდა მეცნიერებათა აკადემიიდან სხვადასხვა პერიოდში და ამჟამად არიან უნივერსიტეტის ფაკულტეტების შემადგენლობაში. ისინი ფინანსდება სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. მათი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და ასევე კვლევითი პოტენციალის შეფასება ხორციელდება როგორც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, ასევე სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. მათი სამეცნიერო

პერსონალი აქტიურადაა ჩართული ერთიან საუნივერსიტეტო სასწავლო და კვლევით პროცესებში.


- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები, რომელთა ბაზაზე ხორციელდება ადგილობრივი და საერთაშორისო სასწავლო თუ კვლევითი პროექტები, რომლებიც ემსახურება სტუდენტებში კვლევითი უნარების განვითარებას. ისინი პერიოდულად ფინანსდება უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან როგორც სასწავლო, ისე კვლევითი მიზნებისთვის.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/სახელოვნებო ერთეულები წარმოადგენს ეფექტიან ბაზას, რათა უნივერსიტეტმა მაქსიმალურად განავითაროს სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურების სტუდენტების /ახალგაზრდა კადრების ჩართულობა კვლევაში/სახელოვნებო საქმიანობაში, როგორც ფუნდამენტურ სამეცნიერო, ისე გამოყენებით სფეროებში.

უნივერსიტეტში კვლევისა და სწავლების ინტეგრირება უზრუნველყოფილია პროფესორებისა და ლექტორების აქტიური ჩართვით კვლევით საქმიანობაში, ასევე დოქტორანტების სწავლების პროცესში მონაწილეობით; პროგრამებით გათვალისწინებული ექსპერიმენტული, საველე, ლაბორატორიული სამუშაოების შესრულებისთვის კვლევითი ლაბორატორიების და საველე ბაზების გამოყენებით; საერთაშორისო ნუსხებში შემავალი საერთაშორისო რეფერირებადი პერიოდული გამოცემების მდიდარი რესურსების ხელმისაწვდომობით.

კვლევის ეფექტიანობისა და რეიტინგულობის შეფასება უნივერსიტეტში ხდება როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ინსტიტუციური რანჟირების სისტემების მიხედვით. მათ შორის მნიშვნელოვანია Scimago-ს ბაზა, რომელიც Scopus-ის ბაზაზე დაყრდნობით ახდენს მსოფლიოში არსებული ყველა აკადემიური და კვლევითი პროფილის ინსტიტუციის რანჟირებას და ასახავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტაბილური ზრდის ტენდენციას (გრაფიკი #1 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთო რანჟირების მაჩვენებლები წლების მიხედვით).

გრაფიკი #1 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საერთო მაჩვენებლები წლების მიხედვით Scimago-ს მიხედვით



(წყარო: www.scimagoir.com ამოღებულია 22.01.2018)

2017 წლის მონაცემების მიხედვით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 656-ე პოზიციაზეა 5250 აკადემიურ/კვლევით დაწესებულებას შორის, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია როგორც საქართველოს, ისე კავკასიის რეგიონის მასშტაბით.

უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობას მხარს უჭერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული, მათ შორის საკვანძოა:

სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური და განვითარების სამსახური.

სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში მხარს უჭერს უნივერსიტეტის აკადემიურ ერთეულებს, აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს ეროვნული (შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო უწყება) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოზიდვასა და განხორციელებაში, ასევე შიდასაუნივერსიტეტო კვლევითი გრანტებით გათვალისწინებული საქმიანობის დაგეგმვასა და ორგანიზებაში.

განვითარების სამსახური მხარს უჭერს უნივერსიტეტის აკადემიურ ერთეულებს, აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი თანამშრომლობის სქემებში და პროექტების (FP7, ჰორიზონტი 2020, კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელი ASCN, ენდრიუ ვ. მელონის ფონდი, ფოლკსვაგენის ფონდი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ, ბოტანიკური ბაღების საერთაშორისო საბჭო მცენარეთა კონვენსაციისათვის, ბაზელის უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტი, ნატოს სამეცნიერო პროგრამა, გაერთიანებული სამეფოს ბოტანიკური ბაღი, საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID),

UNESCO, ჰელიომანტოკარდიოლოგიური სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი, საერთაშორისო სამეცნიერო ტექნოლოგიური ცენტრი (ISTC)) დაგეგმვაში, მოზიდვასა და განხორციელებაში. აღნიშნული სამსახურების საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტებით.


ძირითადი გამოწვევები

უნივერსიტეტის საქმიანობის შესწავლის მიზნით ჩატარებული საჭიროებათა კვლევის საფუძველზე გამოვლინდა უნივერსიტეტში კვლევების მიმართულების წინაშე არსებული შემდეგი ძირითადი გამოწვევები, რომელთა საფუძველზეც მოხდა შემდგომში სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების დასახვა, კერძოდ:

- მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მასშტაბით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ-ერთი წამყვანია მის მიერ დაარსებული კვლევითი ერთეულებისთვის დაფინანსების გამოყოფის თვალსაზრისით, კვლევისათვის საჭირო ფინანსური რესურსები საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით არასაკმარისი და არამდგრადია. კვლევითი დაფინანსების უფრო მეტი მდგრადობა არის უნივერსიტეტის წარმატების და საუნივერსიტეტო რეიტინგებში მოწინავე პოზიციაზე გადანაცვლების საწინდარი. შესაბამისად, აუცილებელია გაძლიერდეს ფინანსური მდგრადობის საფუძვლები.
- შემოერთებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები, მათი სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის და გამოცდილების გათვალისწინებით, არაერთგვაროვნად არიან ინტეგრირებული უნივერსიტეტის ერთიან სივრცეში. მაგალითისთვის, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის 11 სამეცნიერო პერსონალს ამჟამად უნივერსიტეტის პროფესორის სტატუსი აქვს, ობსერვატორიის ბაზაზე ხორციელდება სხვადასხვა საფეხურის სასწავლო პროგრამები. თუმცა ობსერვატორიისგან განსხვავებით, ნაკლებად ინტეგრირებულია პოლიტოლოგიის, ასევე დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტები.
- კვლევითი საქმიანობა საჭიროებს მეტ მხარდაჭერას და პოპულარიზაციას, ახალგაზრდა თაობის ინტერესის გაზრდის და კვლევით საქმიანობაში ახალი და პერსპექტიული კადრების ჩართულობის მიზნით.
- უნივერსიტეტის მიერ სრულად არ არის გამოყენებული საერთაშორისო და ადგილობრივი საგრანტო პროგრამების პოტენციალი როგორც კვლევის პროდუქტიულობის, ასევე კვლევისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად.

სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა თანხვედრაშია უნივერსიტეტის სტრატეგიასთან 2018-2024 წლებისათვის.



ს.მ. #1: კვლევითი საქმიანობის მდგრადობის უზრუნველყოფა და პოპულარიზაცია

კვლევითი საქმიანობის მდგრადობის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის სტრატეგიაში დეკლარირებული ხედვის - ილიაუნის საქართველოსა და რეგიონში წამყვან და სწრაფად მზარდ კვლევით უნივერსიტეტად ჩამოყალიბება - მიღწევის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. სამეცნიერო მიღწევებისა და მკვლევარების საერთაშორისო აღიარება და კვლევების ინტერნაციონალიზაცია მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს უნივერსიტეტში მაღალი დონის კვლევის განხორციელებისთვის საჭირო პირობების შესაქმნელად. კვლევითი საქმიანობის მდგრადობის უზრუნველყოფის ამოცანებია:

1.1. საუნივერსიტეტო კვლევების მიმართულებების და პრიორიტეტების განსაზღვრა;

- უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობა წარიმართება კვლევის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობით. განვითარდება აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასების და ანალიზის გამჭვირვალე და ეფექტიანი სისტემა. განახლება კვლევების შიდა დაფინანსების წესი და ის დაეფუძნება კონკურენტულ პრინციპებს. გაიზარდება

სამეცნიერო საბჭოს ფუნქციები, რაც ხელს შეუწყობს კვლევითი საქმიანობის წარმართვას ფაკულტეტების/სკოლების/ინსტიტუტების დონეზე, ასევე შიდა და გარე კვლევითი მიმართულების თანამშრომლობის გაღრმავებას. ყოველივე ეს საშუალებას მისცემს კვლევით საქმიანობაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს, განსაზღვრონ კვლევითი პრიორიტეტები და მათი იმპაქტი და ეფექტიანად მართონ პროცესი.

- გაფართოვდება კვლევისა და სწავლების სამეცნიერო პროგრესსა და სოციუმზე ორიენტირებული სისტემა, რაც თავის თავში გულისხმობს როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი კვლევების მიმართულების განვითარებას, შრომის ბაზარზე ორიენტირებულობას და უნივერსიტეტის ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების ოპტიმალურ გადანაწილებას, რათა საუნივერსიტეტო სივრცეში განხორციელებული კვლევისა და სწავლების პროცესი იყოს როგორც სამეცნიერო პროგრესის, ასევე თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ხელი შევუწყოს ისეთი სამეცნიერო მიმართულებების განვითარებას, რომელიც საქართველოში შედარებით სუსტადაა განვითარებული.

1.2. კვლევის ინტერნაციონალიზაცია და ცნობადობის ზრდა საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე

- კვლევითი საქმიანობის პოპულარიზაციისათვის შესაბამისი ამოცანები და აქტივობები ასახვას პოვებს უნივერსიტეტის საკომუნიკაციო სტრატეგიაში და კვლევების კოორდინაციის და განვითარების სამსახურები უზრუნველყოფენ ამ აქტივობების განხორციელებას უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან ერთად.
- უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, კვლევითი შესაძლებლობების და პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის პარალელურად, უზრუნველყოფენ სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად კვლევითი კონსორციუმების შექმნას დიდი საერთაშორისო საგრანტო პროექტების მოპოვების მიზნით, რითაც შესაძლებელი გახდება უნივერსიტეტის სათანადო დონეზე წარმოჩენა საერთაშორისო კვლევითი საზოგადოების წინაშე.
- უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამეცნიერო მიღწევების და სამეცნიერო მონაცემების ტექნოლოგიურ სტანდარტიზაციას, რათა უნივერსიტეტის სამეცნიერო მიღწევები ხელმისაწვდომი გახადოს ფართო საზოგადოებისათვის ადგილობრივ და საერთაშორისო

დონეზე. სამეცნიერო მიღწევებისა და მონაცემების ხელმისაწვდომობის გაზრდის კუთხით, უნივერსიტეტი გააგრძელებს შემოერთებული და უნივერსიტეტის მიერ დაფუძნებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების ვებგვერდების შექმნას და მათი მონაცეთა ბაზების რეგულარულ განახლებას.

- გაგრძელდება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობა, ასევე უნივერსიტეტი ორგანიზებას გაუწევს/უმასპინძლებს დიდ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებს, საზაფხულო სკოლებსა და ვორქშოფებს.
- საგარეო ურთიერთობების სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით, კვლევების კოორდინაციის და განვითარების სამსახურები განავითარებენ და ხელს შეუწყობენ საერთაშორისო კვლევითი გრანტების რაოდენობისა და მოცულობის, უნივერსიტეტის მიერ დაფუძნებულ და საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნების ~~ფაქტებს~~ რაოდენობის ზრდას. ასევე მოხდება საერთაშორისო საბროკერო ღონისძიებებში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის და მკვლევართა მონაწილეობის წახალისება, რაც მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს უნივერსიტეტის დიდ კვლევით კონსორციუმებში ჩართვისთვის და ცნობადობის ამაღლებისთვის.
- სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევის პროცესში ჩართვის და მათი წახალისების მიზნით, უნივერსიტეტში დაწესებულია პასკალის პრემია, რომელიც მომდევნო წლებში კვლავ მიენიჭება ახალგაზრდა მეცნიერებს მნიშვნელოვანი საერთაშორისო პუბლიკაციისათვის.
- მნიშვნელოვანია Scimago-ს ინსტიტუციური რანჟირების ბაზაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთო რანჟირების მაჩვენებლების გაუმჯობესება; ასევე სხვადასხვა სარეიტინგო ბაზაში უნივერსიტეტის არსებული პოზიციის გაუმჯობესება (QS, Times, Webometrics, U-Multirank).
- გარდა ინსტიტუციური რანჟირებისა, უნივერსიტეტის სახელით საერთაშორისო ბაზებში („Scopus” და “Clarivate Analytics”) გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლების მნიშვნელოვანი საფუძველია.

1.3. კვლევითი საქმიანობის პოპულარიზაცია

- საუნივერსიტეტო სივრცეში დაიგეგმება და განხორციელდება სხვადასხვა პროექტი /ღონისძიება, რომლებიც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში კვლევისა და მეცნიერების პოპულარიზაციას; ასევე უნივერსიტეტის მიერ დაფუძნებული ჟურნალების ცნობადობის ზრდას და მათ მხარდაჭერას. დაფუძნდება და ყოველწლიურად ჩატარდება ეროვნული და რეგიონული სამეცნიერო კონფერენციები; გაგრძელდება ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზება, რითაც ხელი შეეწყობა უნივერსიტეტის, როგორც კვლევის მიმართულებით ფლაგმანის წარმოჩენას.
- სტუდენტების კვლევითი საქმიანობით დაინტერესებისთვის და კვლევითი საქმიანობის პოპულარიზაციისთვის, ფაკულტეტების/სკოლების და შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულების თანამშრომლობით, უნივერსიტეტი წახალისებს სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურების სტუდენტების მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებში, ასევე მათ პუბლიკაციებს საერთაშორისო ჟურნალებში, რაც მნიშვნელოვანი იქნება უნივერსიტეტის მომავალი კადრების დაინტერესებისა და მომზადების თვალსაზრისით.
- მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის კვლევის ხელშემწყობი სერვისების (კვლევების კოორდინაციის სამსახურის, განვითარების სამსახურის, საგარეო ურთიერთობების სამსახურის) ხელმისაწვდომობის და ცნობადობის გაზრდა, რაც საფუძვლად დაედება მეტი ადგილობრივი თუ სამეცნიერო პროექტის, საპროექტო განაცხადის მოზიდვასა და შემუშავებას როგორც დოქტორანტების, ასევე აკადემიური პერსონალის მხრიდან. აღნიშნულისთვის მოხდება დოქტორანტებთან და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრების და სემინარების ორგანიზება.
- სტუდენტური სერვისების დეპარტამენტთან ერთად ე. წ. „Grant Writing“-ის კურსის დანერგვა, რომლის ფარგლებში სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურების სტუდენტებს გრანტის წერის, სამეცნიერო-კვლევითი პროექტის მომზადებისა და მართვის შესაბამისი უნარები და ინფორმაცია მიეწოდებათ.

ს.მ. #2: კვლევითი საქმიანობის სტანდარტის ამაღლება

კვლევითი საქმიანობის სტანდარტის ამაღლება უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს, უწყობს რა ხელს უნივერსიტეტის მისიის შესრულებას. საუნივერსიტეტო

სივრცეში აკუმულირებული კვლევითი საქმიანობის გამოცდილება, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ადამიანური რესურსები ქმნის ძლიერ საფუძველს ილიაუნის საქართველოსა და რეგიონში წამყვან და სწრაფად მზარდ კვლევით უნივერსიტეტად პოზიციონირებისთვის. უნივერსიტეტის მიერ დაფუძნებული და ბოლო წლების განმავლობაში შემოერთებული კვლევითი ერთეულების საუნივერსიტეტო სივრცეში ორგანულად ინტეგრირებისა და კვლევითი საქმიანობის ახალ ეტაპზე გადაყვანისათვის უნივერსიტეტის მენეჯმენტის მიერ დასახულია შემდეგი ამოცანები:

2.1. კვლევების მიმართულების გაძლიერება

- 2017 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფუძნდა კარლ-ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის სახელობის საერთაშორისო სადოქტორო სკოლა, რომლის მისიაც არის მადალხარისხოვანი სტრუქტურული სადოქტორო განათლების ეფექტური მხარდაჭერა და ხელშეწყობა. სტრუქტურული ელემენტების, ხარისხის კონტროლისა და აკადემიური თავისუფლების პრინციპის საფუძველზე იგეგმება, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ერთეული გახდეს „ქოლგა“ სადოქტორო სკოლა საერთო საშუალებებითა და ინსტრუმენტებით ყველა ფაკულტეტისათვის. საერთაშორისო სადოქტორო სკოლა, იქნება რა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და მობილობაზე ორიენტირებული, მსურველებს შესთავაზებს ორმაგ სადოქტორო პროექტებს (Cotutelle-based Ph.D. projects), რომელთა საშუალებითაც მათ ექნებათ შესაძლებლობა, მიიღონ ორმაგი და/ან რამდენიმე ხარისხი. პროექტი 2021 წლამდე გაგრძელდება და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სადოქტორო განათლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლებასა და ინტერნაციონალიზაციას როგორც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისე ზოგადად ქვეყანაში.
- განვითარდება როგორც ფუნდამენტური, ასევე გამოყენებითი კვლევების (ინდუსტრიებთან თანამშრომლობით) მიმართულება და უზრუნველყოფილი იქნება მათ შორის კვლევითი ბალანსის დაცვა. უნივერსიტეტი მზარს დაუჭერს ინტერდისციპლინური კვლევითი ცენტრების და ინსტიტუტების განვითარებას, ასევე კოლაბორაციებს, რომლის ფარგლებშიც მოხდება კვლევების როლისა და პოტენციალის გაძლიერება იმ მიმართულებებში, სადაც ამის ნაკლები პრაქტიკა აქვს უნივერსიტეტს (მაგალითისთვის, ბუნებრივი რესურსების მიმართულების დაკავშირება ბიზნესის

- ბუნებრივი რესურსების მართვის და სამართლებრივი მართვის მიმართულებასთან და ასევე ლინგვისტური კომუნიკაციების და ბიზნესის კომუნიკაციების დაკავშირება).
- სწავლებისა და კვლევების ინტეგრაციის დონის ამაღლებისთვის საჭიროა ასევე მაქსიმალურად მოხდეს სამაგისტრო და სადოქტორო კვლევების მჭიდროდ ინტეგრირება საუნივერსიტეტო კვლევებში (სწავლების მაღალი საფეხურის სტუდენტები აქტიურად ჩაერთვებიან კვლევით საქმიანობაში). გაძლიერდება უნივერსიტეტის არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, როგორც სამეცნიერო-კვლევითი ბაზების, ჩართულობა და გამოყენება სამაგისტრო და სადოქტორო კვლევაში/სახელოვნებო საქმიანობაში.
 - ამაღლება სამიზნე აუდიტორიის ცნობადობა კვლევითი საქმიანობის შესახებ. აღნიშნული მიღწევები მკვეთრად გააუმჯობესებს უნივერსიტეტის ფარგლებში მიმდინარე კვლევით საქმიანობას.
 - ძლიერი და განვითარებაზე ორიენტირებული მიმართულებების, მკვლევრების, ავტორების და ექსპერტების გამოვლენით უნივერსიტეტი შეძლებს გააძლიეროს კვლევების მიმართულება, რითაც ხელს შეუწყობს კვლევაში ახალი ტენდენციებისა და ძირითადი ინდიკატორების იდენტიფიცირებას.
 - შესაბამისი კომპეტენციების მქონე აკადემიური და კვლევითი კადრების მოზიდვით და შესაბამისი ცენტრების დაფუძნებით უნივერსიტეტი მხარს დაუჭერს გამოყენებითი კვლევითი დარგების, მათ შორის ბიზნესის მიმართულების კვლევითი პოტენციალის გაზრდას.
 - კვლევების კოორდინაციის სამსახურისა და განვითარების სამსახურის დახმარებით კვლევითი ერთეულები უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის ფარგლებში წარმოებული გამოყენებითი კვლევების პროდუქტის შეთავაზებას პოტენციური ბენეფიციარების/ მომხმარებლებისათვის (კერძო და სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლებისათვის). მოეწეობა საინფორმაციო შეხვედრები ახალგაზრდა და გამოცდილ მკვლევრებთან, რათა ამაღლდეს მათი ინფორმირების დონე კვლევის პროდუქტების კომერციალიზაციის შესაძლებლობების შესახებ. აღნიშნული ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მესამე მისიის შესრულებას, უზრუნველყოფს რა ახალგაზრდა, ინოვაციური ადამიანებისა და გამოცდილი მეცნიერების ნაშრომის გამოყენებას საზოგადოების განვითარებისათვის და დამწყები, მაღალტექნოლოგიური კომპანიების გაჩენასა და განვითარებას.

2.2. კვლევითი ერთეულების ეფექტიანობის ამაღლება

- გაუმჯობესდება კვლევითი ერთეულების საქმიანობის დაგეგმვის, შეფასების და ანგარიშგების სისტემა, რაც უზრუნველყოფს შეფასებაზე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას და პოლიტიკის გატარებას. კვლევითი ერთეულების საქმიანობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, დამუშავება და უკუკავშირი უნივერსიტეტს მისცემს საშუალებას, რაოდენობრივ და ხარისხობრივ ჭრილში შეაფასოს გაწეული საქმიანობა, მიღწევები და მოახდინოს საჭირო რეაგირება და უკუკავშირი. მოცემული აქტივობები აამაღლებს კვლევითი ერთეულების ადმინისტრირების დონეს, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კვლევითი ერთეულების ეფექტიანობის ამაღლებას;
- ილიაუნი, როგორც ევროკომისიის პროექტის - NUCLEUS (რომლის მიზანია სოციალურ საჭიროებებზე ორიენტირებული კვლევებისა და ინოვაციების სტიმულირება) ბენეფიციარი, აწარმოებს პასუხისმგებლიან კვლევებს და დანერგავს ინოვაციურ მიდგომებს როგორც აკადემიურ საზოგადოებაში, ისე მათთან დაკავშირებულ სხვა ინსტიტუციებში.

სტრატეგიის მონიტორინგის და შეფასების პროცედურა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი სტრატეგიისა და 2018–2024 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება წარიმართება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის მიერ „სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანის, შეფასებისა და მონიტორინგის წესის“ თანახმად.